International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 6, Issue 1

Journal homepage: http://journal.ciu.edu.ge/

DOI: https://doi.org/10.55367/GXOY4880

Legal Regulation of Inheritance

Guranda Misabishvili[a1]
[a] PhD student, Caucasus International University

ARTICLE INFO

Keywords:

Georgia
Inheritance
Actual possession
Inheritance terms

ABSTRACT

This article deals with the legal regulation, procedures, and deadlines for receiving an inheritance in Georgia, with a special emphasis on the institution of receiving an inheritance through actual possession and management. The relevance of the research is due to the practical inefficiency of the current regulation, which is especially evident in the application of the six-month period and the process of confirming actual possession. The research is based on normative-legal, dogmatic-legal, and comparative-legal methods. Additionally, an analysis of judicial and notarial practice has been used, which allows for an assessment of the actual functioning of the current regulations in practice. The study found that the six-month period, in some cases, fails to ensure the effective realization of heirs' rights, which increases the risk of loss of rights and litigation. It has also been revealed that confirming the receipt of actual possession and management of an estate in practice is often associated with difficulties of proof and requires judicial intervention. These circumstances increase time and financial costs. Comparative legal analysis has shown that in a number of legal systems, the expanded powers of the notary simplify the process of receiving inheritance and reduce the need for judicial intervention. Accordingly, it is advisable to review the legal regulation of the deadlines for receiving an inheritance and the institution of receiving it through actual possession and management in Georgia, harmonize them with practice, and increase procedural flexibility, which will ensure more effective protection of the rights of heirs.

[1] Corresponding author.
E-mail addresses: gmisabishvili@notary.ge (G.Misabishvili).
ORCID: https://orcid.org/0009-0003-7984-7035

სამკვიდროს მიღების სამართლებრივი რეგულირება

გურანდა მისაბიშვილი[a][2]

[a] დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სტატიის შესახებ

საკვანძო სიტყვები:

საქართველო
სამკვიდრო
ფაქტობრივი ფლობა
სამემკვიდრეო ვადები

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეხება საქართველოში სამკვიდროს მიღების სამართლებრივ რეგულირებას, პროცედურებსა და ვადებს, განსაკუთრებული აქცენტით სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობითა და მართვით მიღების ინსტიტუტზე. კვლევის აქტუალობა განპირობებულია მოქმედი რეგულირების პრაქტიკული არაეფექტიანობით, რაც განსაკუთრებით ვლინდება ექვსთვიანი ვადის გამოყენებისა და ფაქტობრივი ფლობის დადასტურების პროცესში. კვლევა ეფუძნება ნორმატიულ-სამართლებრივ, დოგმატურ-სამართლებრივ და შედარებით-სამართლებრივ მეთოდებს. დამატებით გამოყენებულია სასამართლო და სანოტარო პრაქტიკის ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მოქმედი რეგულაციების რეალური ფუნქციონირება პრაქტიკაში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ექვსთვიანი ვადა რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყოფს მემკვიდრეთა უფლებების ეფექტიან რეალიზაციას, რაც ზრდის უფლებების დაკარგვისა და სასამართლო დავების რისკს. ასევე გამოვლინდა, რომ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობითა და მართვით მიღების დადასტურება პრაქტიკაში ხშირად დაკავშირებულია მტკიცების სირთულეებთან და საჭიროებს სასამართლო ჩარევას. აღნიშნული გარემოებები ზრდის დროით და ფინანსურ დანახარჯებს. შედარებით-სამართლებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ რიგ სამართლებრივ სისტემებში ნოტარიუსის გაფართოებული უფლებამოსილება ამარტივებს სამკვიდროს მიღების პროცესს და ამცირებს სასამართლო ჩარევის საჭიროებას. შესაბამისად, მიზანშეწონილია საქართველოში სამკვიდროს მიღების ვადებისა და ფაქტობრივი ფლობითა და მართვით მიღების ინსტიტუტის სამართლებრივი რეგულირების გადახედვა, მათი პრაქტიკასთან ჰარმონიზაცია და პროცედურული მოქნილობის გაზრდა, რაც უზრუნველყოფს მემკვიდრეთა უფლებების უფრო ეფექტიან დაცვას.

[2] ავტორი კორესპონდენტი.
ელექტრონული ფოსტა: gmisabishvili@notary.ge (გ.მისაბიშვილი).
ORCID: https://orcid.org/0009-0003-7984-7035

1. შესავალი

ქართული მემკვიდრეობის სამართლის მიხედვით, მემკვიდრისათვის სამკვიდროს მიღება შესაძლებელია ორი ძირითადი ფორმით: სანოტარო ბიუროში განცხადების შეტანის გზით და სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებისა და მართვის გზით. აღნიშნული ფორმები თანაბრად ვრცელდება როგორც კანონით მემკვიდრეობის, ისე ანდერძით მემკვიდრეობის შემთხვევებზე. თუმცა, მიუხედავად ნორმატიული ჩარჩოს არსებობისა, პრაქტიკაში ამ ფორმების გამოყენება ხშირად იწვევს სამართლებრივ გაურკვევლობებს როგორც სანოტარო, ისე სასამართლო პრაქტიკაში. კვლევის მიზანია სამკვიდროს გადაცემის ვადების, ფორმების, განსაკუთრებით კი ფაქტობრივი ფლობითა და მართვით მიღების სამართლებრივი ბუნების ანალიზი და მოქმედი რეგულაციების პრაქტიკასთან შესაბამისობის შეფასება. კვლევის ამოცანაა სამკვიდროს გადაცემის ვადების და ფორმების სამართლებრივი ანალიზი. მემკვიდრეობის მიღების ვადის საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ ასპექტს მემკვიდრეობითი სამართლის პრაქტიკაში, რადგან იგი უშუალოდ უკავშირდება მემკვიდრის უფლებების რეალურ განხორციელებას. მთავარი სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ექვსთვიანი ვადა არ ითვალისწინებს ისეთ ობიექტურ გარემოებებს, როგორიცაა: მემკვიდრის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა ან შრომისუუნარობა; მემკვიდრის საზღვარგარეთ ყოფნა ან გრძელვადიანი მივლინება; ინფორმაციის დაგვიანებით მიღება მემკვიდრეობის გახსნის შესახებ; ობიექტური შეფერხებები კომუნიკაციისა და დოკუმენტაციის მოპოვების პროცესში. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მემკვიდრეები ფაქტობრივად ფლობენ და სარგებლობენ სამკვიდრო ქონებით, თუმცა მემკვიდრეობის მიღების სამართლებრივი წესების შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის გამო ვერ ახერხებენ თავიანთი უფლებების სათანადოდ რეალიზებას. მოქმედი რეგულაციის პირობებში ნოტარიუსი ვალდებულია, უარი თქვას სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ ვერ დგინდება სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების ფაქტი კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებებით, რაც მემკვიდრეებს აიძულებს, მიმართონ სასამართლოს. კვლევის მიზანია სამკვიდროს გადაცემის ვადების, ფაქტობრივი ფლობითა და მართვით მიღების სამართლებრივი ბუნების ანალიზი და მოქმედი რეგულაციების პრაქტიკასთან შესაბამისობის შეფასება. კვლევის ამოცანაა სამკვიდროს გადაცემის ვადების და ფაქტობრივი ფლობით და მართვით, როგორც სამკვიდროს გადაცემის საფუძვლის, სამართლებრივი შინაარსის განსაზღვრა; სანოტარო და სასამართლო პრაქტიკაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება; შედარებითი სამართლის საფუძველზე უცხოური გამოცდილების მოკლე მიმოხილვა და რეკომენდაციების შემუშავება სამართლებრივი რეგულირების დახვეწის მიზნით.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

სამკვიდროს მიღების ინსტიტუტი მემკვიდრეობითი სამართლის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ შესწავლილი საკითხია. ქართულ იურიდიულ დოქტრინაში აღნიშნული ინსტიტუტის კვლევას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ე. შენგელიას, რ. შენგელიას, ლ. ჭანტურიას, ლ. ნადიბაიძის, ზ. ახვლედიანის, თ. ნოდიას (ახვლედიანი, 200) (ნადიბაიძე, 2012) (ნოდია, 2012) (შენგელია, 2007). მათი ნაშრომების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სამკვიდროს მიღება განიხილება როგორც მემკვიდრის ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგი, რომელიც იწვევს მამკვიდრებლის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების უნივერსალური სამართალმემკვიდრეობის წესით გადასვლას მემკვიდრეზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მემკვიდრის ნების მნიშვნელობას, სამკვიდროს მიღების ფორმებსა და სამართლებრივ შედეგებს. როგორც ქართული დოქტრინის, ისე სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ სწორედ ეს მიმართულება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხს (საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2017). მიუხედავად იმისა, რომ კონკლუდენტური მოქმედებები აღიარებულია მემკვიდრის ნების გამოვლენის ფორმად, პრაქტიკაში კვლავ რთულია იმ კრიტერიუმების განსაზღვრა, რომელთა საფუძველზეც კონკრეტული ქმედება სამკვიდროს ფაქტობრივ მიღებად უნდა შეფასდეს. უცხოური იურიდიული ლიტერატურისა და ნორმატიული აქტების შესწავლამ აჩვენა, რომ სამკვიდროს მიღების ინსტიტუტი სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში განსხვავებული მოდელებით რეგულირდება. გერმანულ სამართალში მემკვიდრეობის მიღებისა და მასზე უარის თქმის საკითხები დეტალურად არის მოწესრიგებული გერმანიის სამოქალაქო კოდექსით (Bürgerliches Gesetzbuch). გერმანული დოქტრინა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მემკვიდრის ნების სამართლებრივ მნიშვნელობას, მემკვიდრეობის მიღების სამართლებრივ შედეგებსა და მემკვიდრის პასუხისმგებლობის ფარგლებს, რაც ასახულია როგორც Palandt-ის, ისე Münchener Kommentar zum BGB-ის კომენტარებში (Münchener Kommentar zum BGB, 2012). საფრანგეთის, იტალიისა და ესპანეთის სამართლის ანალიზმა ცხადყო, რომ მემკვიდრეობით ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სანოტარო სისტემა. აღნიშნულ ქვეყნებში ნოტარიუსი აქტიურად მონაწილეობს მემკვიდრეობის საქმის წარმოებაში, რაც ხელს უწყობს მემკვიდრეთა უფლებების ეფექტიან დაცვას, სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და სასამართლო დავების რაოდენობის შემცირებას. იტალიურ იურიდიულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნოტარიუსის როლს მემკვიდრეობით ურთიერთობებში და მის ფუნქციას სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფის პროცესში (Genovese, 2008). ესტონური სამართლის კვლევამ ასევე წარმოაჩინა მემკვიდრეობის მიღების პროცედურების მკაფიო რეგულირების მნიშვნელობა. მემკვიდრეობის სამართლისა და სანოტარო საქმიანობის მარეგულირებელი აქტები ქმნის ისეთ სამართლებრივ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლებრივ უსაფრთხოებას, ამცირებს მემკვიდრეობით დავებთან

დაკავშირებულ სირთულეებს და ხელს უწყობს მემკვიდრეთა უფლებების ეფექტიან რეალიზაციას (Notary Act of Estonia). შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურის, ნორმატიული აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად სამკვიდროს მიღების ინსტიტუტის საფუძვლიანი თეორიული დამუშავებისა, კვლავ არასაკმარისად არის შესწავლილი სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების მტკიცებითი სტანდარტები, სანოტარო და სასამართლო პრაქტიკის ურთიერთმიმართება, აგრეთვე მემკვიდრეობის მიღების ვადებისა და პროცედურების გავლენა მემკვიდრეთა უფლებების რეალიზაციაზე. არსებული კვლევები ძირითადად კონცენტრირებულია სამკვიდროს მიღების ზოგად თეორიულ საფუძვლებზე, მაშინ როდესაც ნაკლებად არის გაანალიზებული პრაქტიკაში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის მექანიზმები. სწორედ აღნიშნული საკითხების კვლევა წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის ძირითად მიმართულებას და განსაზღვრავს მის მეცნიერულ სიახლეს.

3. მასალები და მეთოდები

კვლევის მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იქნა როგორც თეორიული, ისე ემპირიული კვლევის მეთოდები. კვლევის ძირითად მეთოდს წარმოადგენს დოგმატური (ნორმატიული) სამართლებრივი მეთოდი, რომლის საფუძველზეც გაანალიზდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციისა და მემკვიდრეობით სამართალთან დაკავშირებული სხვა ნორმატიული აქტების დებულებები. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესწავლილ იქნა გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, ავსტრიის, შვეიცარიის, ინგლისის, საბერძნეთის, ესტონეთისა და კოლუმბიის სამართლებრივი სისტემები. შედარებითი ანალიზის მიზანი იყო ისეთი სამართლებრივი მექანიზმების გამოვლენა, რომლებიც ხელს უწყობს მემკვიდრეთა უფლებების ეფექტიან დაცვას და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქართული კანონმდებლობის სრულყოფისათვის. ასევე გამოყენებულ იქნა სასამართლო პრაქტიკის კვლევის მეთოდი, რომლის ფარგლებში გაანალიზდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები, რაც შესაძლებელს ხდიდა მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიცირებას. კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო სანოტარო პრაქტიკის ანალიზს, რომელმაც გამოავლინა სამემკვიდრეო საქმეთა წარმოებისას არსებული გამოწვევები და მოქმედი სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანობა. კვლევაში გამოყენებულია აგრეთვე ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, რომელთა საშუალებით შესწავლილ იქნა მემკვიდრეობის მიღების ინსტიტუტის ცალკეული ელემენტები და ჩამოყალიბდა ერთიანი ხედვა არსებული სამართლებრივი რეგულირების

ხარვეზებისა და მათი სრულყოფის შესაძლებლობების შესახებ. კვლევის ემპირიულ ბაზას წარმოადგენს საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, სანოტარო საქმიანობაში გამოვლენილი შემთხვევები, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, უცხოური ქვეყნების კანონმდებლობა და სამეცნიერო ლიტერატურა. აღნიშნული წყაროების კომპლექსურმა ანალიზმა შესაძლებელი გახადა მემკვიდრეობის მიღების ინსტიტუტის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გამოვლენა და შესაბამისი საკანონმდებლო რეკომენდაციების შემუშავება.

4. შედეგების განხილვა

ნაშრომში საკვლევი საკითხის შესწავლის მიზნით განხილულია სამკვიდროს მიღების საფუძვლები და ვადები, მათი შედარებითი ანალიზი უცხო ქვეყნების პრაქტიკის საფუძველზე. კვლევამ აჩვენა, რომ ქართულ სამართალში მემკვიდრეობის მიღების პროცედურა ფორმალურად მკაფიოა, თუმცა ექვსთვიანი ვადა რეალურად ხელს უშლის მემკვიდრეებს, განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრებ ან საზღვარგარეთ არსებულ პირებს. ვადის გამოტოვების შემთხვევაში სასამართლო ვადას მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში აღადგენს, რაც პრაქტიკაში უთანასწორობას ქმნის. შედარებით სამართლებრივი გამოცდილება ადასტურებს, რომ ვადის გახანგრძლივება (მაგ., ერთ წლამდე) ხელს შეუწყობს მემკვიდრეთა უფლებების უკეთ დაცვას და სამკვიდროს მიღების პროცედურების გამარტივებას.

სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით და მართვით, მისი საფუძვლები და სამართლებრივი შინაარსის განსაზღვრის საფუძველზე კვლევის შედეგად გამოვლინდა შედეგი: მემკვიდრეს სამკვიდრო გადაეცემა არა მხოლოდ უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემით, არამედ **ხანგრძლივ ფლობაზე გადასვლით,** რაც მემკვიდრეს აძლევს ფიქციურად მფლობელის იდენტურობას. მემკვიდრე ადასტურებს სამკვიდროს მიღებას **ფლობით, მართვით, ქონებით სარგებლობით ან სამკვიდროში ცხოვრებით.** ასეთი ქმედებები აღიარებულია **ქართული კანონმდებლობით როგორც სამკვიდროს ფაქტობრივი მიღება,** თუ მემკვიდრე უარს არ აცხადებს.

სანოტარო და სასამართლო პრაქტიკაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების საფუძველზე გამოიკვეთა სამკვიდროს მიღების პრობლემა, როცა მემკვიდრე ვერ წარადგენს სანოტარო ვადაში განცხადებას. ასეთ შემთხვევებში სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობასა და მართვას, რომელიც უნდა განხორციელდეს ექვს თვეში, რათა მემკვიდრემ იკისროს ყველა უფლება და ვალდებულება. პრაქტიკაში ხშირად რთულია ფაქტობრივი ფლობის დამტკიცება, რის გამოც მემკვიდრეებს უწევთ სასამართლოს ჩართვა, იმ შემთხვევებში, როცა მხოლოდ ქმედებები საკმარისი არ არის.

შესწავლილია შედარებითი სამართლის საფუძველზე უცხოური გამოცდილების მოკლე მიმოხილვა სამართლებრივი რეგულირების დახვეწის მიზნით, საიდანაც გამოიკვეთა რამდენიმე ქვეყნის სამართლებრივი მექანიზმი, სადაც ნოტარიუსს შეუძლია სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენა მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, სასამართლოს ჩარევის გარეშე. ეს პრაქტიკა გამოიყენება, როდესაც არ არსებობს ოფიციალური დოკუმენტაცია ან ანდერძი. გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, ესტონეთსა და კოლუმბიაში ნოტარიუსი პასუხისმგებელია მოწმეების ჩვენებების სანდოობის შეფასებაზე და სამკვიდროს დადგენაზე, რაც უზრუნველყოფს მემკვიდრეთა უფლებების სწრაფ და ეფექტურ დაცვას. მოწმეთა ჩვენებები ადასტურებს მემკვიდრეობის კავშირს გარდაცვლილთან და ქონების ფლობის ფაქტს, რაც ამარტივებს რეგისტრაციის პროცესს და ამცირებს სასამართლო ჩარევის საჭიროებას.

4.1. სამკვიდროს მიღების საფუძვლები და ვადები, მათი შედარებითი ანალიზი უცხო ქვეყნების პრაქტიკის საფუძველზე

სამკვიდროს მიღება (ჩიკვაშვილი, 2000) წარმოადგენს ცალმხრივ სამართლებრივ აქტს (სუსგ, 2017) აქვს უნივერსალური და შეუქცევადი ხასიათი, ვრცელდება მთელ სამკვიდროზე, არ შეიძლება იყოს პირობითი ან დათქმით შეზღუდული, არ შეიძლება მისი ნაწილობრივი მიღება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მემკვიდრის წილი იურიდიულად განსაზღვრულია. სამკვიდროს გახსნის შემდეგ მემკვიდრეობის მიღება მიეკუთვნება აქტიური ტიპის უფლებამოსილებას (შენგელია, რ. და შენგელია,ე., 2007), მისი მიღება არ არის ავტომატური - საჭიროა ნების გამოხატვა (ახვლედიანი ზ. , 2000). ქართულ მემკვიდრეობის სამართალში მემკვიდრისთვის სამკვიდროს მიღების ორი ძირითადი ფორმა გამოიყოფა: განცხადების შეტანა სანოტარო ბიუროში და სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლება და მართვა. ორივე ფორმა ერთნაირად მოქმედებს როგორც კანონით მემკვიდრეობის, ისე ანდერძით მემკვიდრეობის შემთხვევაში (ნოდია გ. , 2012). სამკვიდროს მიღების ფორმალურ საშუალებას მიეკუთვნება მემკვიდრის განცხადება ნოტარიუსთან სამკვიდროს მიღების ან სამემკვიდრეო მოწმობის გაცემის თაობაზე (Сергеев А.П.&Толстой Ю.К.& Елисеев И.В., 2002). საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მემკვიდრის მხრიდან (იგი იქნება კანონით მემკვიდრე თუ ანდერძით მემკვიდრე), სამკვიდრო ითვლება მიღებულად, როდესაც მემკვიდრე სამკვიდროს მიღებისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ნებისმიერ სანოტარო ბიუროში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების თაობაზე (ახვლედიანი, 2000). მემკვიდრეობის მიღების ვადა აღიარებულია, როგორც მემკვიდრეობაზე სუბიექტური სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადა (Сергеева, А.П. & Толстой Ю.К., 1998). სამკვიდროს მიღების ან განცხადების წარდგენის ვადა არის განსაზღვრული კანონით და იგი შეადგენს ექვს თვეს, თუმცა ზოგადად მემკვიდრემ უნდა მიმართოს ნოტარიუსს გარდაცვალებიდან გარკვეული

პერიოდის განმავლობაში. ეს მოქმედება ითვლება სამკვიდროს მიღებად და შემდეგ შეუძლებელია განცხადების უკან გამოტანა. თუ მემკვიდრემ სამკვიდროს გახსნის შესახებ ერთი წლის შემდეგ გაიგო და ვადა გაუშვა, მას შეუძლია სასამართლოს მიმართოს ვადის აღდგენის მოთხოვნით (საქმე№ას-845-789-2017, 2017). სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადა პრეკლუზიურია – მის გასვლასთან ერთად მემკვიდრეობის მიღების უფლება იწურება. სასამართლოს შეუძლია ვადა მხოლოდ მაშინ აღადგინოს, თუ ვადაგადაცილების მიზეზი საპატიოდ ჩაითვლება (ახვლედიანი, 2000). საპატიო მიზეზების ჩამონათვალი წინასწარ არ არის განსაზღვრული და მათი შეფასება სასამართლოს პრეროგატივაა. ვადის აღდგენა არ გულისხმობს დამატებითი ვადის მინიჭებას – სასამართლო უბრალოდ წყვეტს, აქვს თუ არა მემკვიდრეს უფლება მიიჩნიოს თავი მემკვიდრედ. თუ ვადა გასულია და საპატიო მიზეზი არ არსებობს, მემკვიდრეობის მიღების უფლება საბოლოოდ დაკარგულია (შენგელია, რ. და შენგელია, ე., 2017). სამკვიდროს მიღება შეიძლება განხორციელდეს როგორც საჯარო, ისე კერძო აქტით, ხოლო მემკვიდრის ნება და მისი ხელმოწერა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ პროცესში. ნოტარიუსის მიერ პროცედურების დარღვევა ვერ შეცვლის მემკვიდრის ნებას (საქმე №ას-205-899-03, 2004). არ შეიძლება ერთი და იმავე საქმის წარმოება რამდენიმე სანოტარო ბიუროში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იმ ნოტარიუსის უფლებამოსილება შეჩერდა ან შეწყდა ვისთანაც დაიწყო საქმისწარმოება, რის შემდეგაც საკითხი შეიძლება გაგრძელდეს სხვა ნოტარიუსის მიერ. თუ აღმოჩნდა, რომ ერთსა და იმავე საქმეზე სხვადასხვა სანოტარო ბიუროშია წარდგენილი განაცხადები, ისინი უნდა გაერთიანდეს და გადაეცეს ნოტარიუსს, რომელმაც ყველაზე ადრე მიიღო განაცხადი. ეს ნოტარიუსი იქნება უფლებამოსილი სამემკვიდრეო საქმის გაგრძელებაზე. თითოეული ნოტარიუსი ვალდებულია გადაუგზავნოს შესაბამისი დოკუმენტები და განცხადებები იმ ნოტარიუსს, რომელიც პასუხისმგებელია საქმის წარმართვაზე. ექვსთვიანი ვადა შეიძლება საკმარისი იყოს ინფორმირებულ და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის მქონე მემკვიდრეებისთვის, მაგრამ სერიოზულ ბარიერად იქცევა რეგიონებში მცხოვრები ან უცხოეთში მყოფი პირებისთვის. ვადის გამოტოვება მათ უფლებრივ მდგომარეობას არსებითად ამცირებს (UNDP, 2022). მემკვიდრეობის მიღების პროცედურები, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განსაზღვრულია, ფორმალურად მკაფიოდ არეგულირებს სამართლებრივ მექანიზმებს, თუმცა პრაქტიკაში ხშირად იწვევს უთანასწორობას. აღნიშნული პრაქტიკა ეწინააღმდეგება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს, „უთანასწორობის შემცირება“ – განსაკუთრებულ როლს იძენს მემკვიდრეობის სამართლის კონტექსტში (ასამბლეა, 2015). მიზანი მოიცავს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნებს შორის უთანასწორობის შემცირებას. საერთაშორისო პრაქტიკაც ადასტურებს უთანასწორობის პრობლემას: სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული ვადები და პროცედურები მემკვიდრეებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს. ამგვარი განსხვავებები მიგრანტ მემკვიდრეებს სამართლებრივ სირთულეებს უქმნის, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება **SDG 10-ის ქვემიზანს 10.7,** რომელიც

ითვალისწინებს ადამიანთა მობილობის თანასწორ და სამართლებრივად მოწესრიგებულ შესაძლებლობებს (კონფერენცია, 1989). მემკვიდრეობის მიღების პროცედურების მოქმედი მოდელი პრაქტიკაში ხშირად წარმოშობს უთანასწორობას. ექვსთვიანი ვადა, რომელიც მემკვიდრეობის მისაღებად არის დადგენილი, რეალურად ხელსაყრელია მხოლოდ ინფორმირებული და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის მქონე მემკვიდრეებისთვის. რეგიონებში მცხოვრები ან უცხოეთში მყოფი პირებისთვის აღნიშნული ვადა სერიოზულ ბარიერს წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირებს არ გააჩნიათ უფლება ან რესურსი იურიდიული წარმომადგენლობისთვის – რაც ხშირია რეგიონებში, ქალებში და სოციალურად დაუცველ ფენებში (Women, 2018). გერმანული სამართლის მიხედვით, მემკვიდრე თავისუფალია მიიღოს გადაწყვეტილება სამკვიდროს მიღებაზე (გერმანია, 2019). მემკვიდრეები საკუთარი სტატუსის დასამტკიცებლად წარადგენენ მემკვიდრის სერთიფიკატს, რომელსაც სასამართლო გასცემს. ნოტარიულად გაფორმებული ანდერძი ჩვეულებრივ საკმარისია სამკვიდროს უფლების დასამტკიცებლად. თუ ანდერძი არ არსებობს, სერთიფიკატი განსაზღვრავს მემკვიდრეობით მიღებულ ქონებას და სამკვიდრო წილს. სერთიფიკატი მემკვიდრის მოთხოვნით გაიცემა და ვადაც ექვს თვეს შეადგენს (კოდექსი გ. ს., 2019). საფრანგეთში მემკვიდრეები იღებენ ქონებას ანდერძით ან კანონით; სასურველია, ქონება ნოტარიულად დარეგისტრირდეს. მემკვიდრეები განცხადებას წარადგენენ ექვსი თვის განმავლობაში. სამკვიდროს მიღება თანხმობის შემთხვევაში შეუქცევადია (გრესე, 2006). სამკვიდროს სამი ტიპი არსებობს: უნივერსალური ლეგატი (მემკვიდრე იღებს ქონების მთელ კომპლექსს), უნივერსალური ლეგატი წილით (მემკვიდრე იღებს განსაზღვრულ წილს), განსაკუთრებული ლეგატი (მემკვიდრე იღებს კონკრეტულ ქონებას, ვალდებულებებს არ ატარებს). სამკვიდროს მიღება კონტრაქტით აკრძალულია, ერთადერთი გამონაკლისი – წინაპარი თავის ქონებას წინასწარ უნაწილებს შთამომავლებს ნებაყოფლობით აქტით (გრესე, 2006). **იტალიაში** მემკვიდრეები მხოლოდ ანდერძით იღებენ ქონებას. მემკვიდრეები წარადგენენ სამკვიდრო ქონების დოკუმენტებს და ნოტარიუსი ან სასამართლო დაამტკიცებს პროცესს. მემკვიდრეებისათვის განცხადების წარდგენის ვადა არის თორმეტი თვე. თუ ვადა გადაცილებულია, შესაძლოა სასამართლოს განჩინება გახდეს საჭირო. ნოტარიუსი არის მთავარი ფიგურა, რომელიც ახდენს ანდერძის გამოცხადებას და ახორციელებს მის დადასტურებას (LAW, 2020). ესპანეთში მემკვიდრეობის მიღებისა და რეგისტრაციის პროცედურები მკაცრად რეგულირდება. მემკვიდრეებმა უნდა მიმართონ ნოტარიუსს ან სასამართლოს სამკვიდრო ქონების რეგისტრაციის მიზნით, რაც, როგორც წესი, უნდა განხორციელდეს სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის ვადაში. ეს ვადა მნიშვნელოვანია, რადგან მისი გადაცილების შემთხვევაში მემკვიდრეების უფლებები შეიძლება შეიზღუდოს. მაგალითად, მემკვიდრეს შეიძლება დაეკარგოს უფლება ქონების მართვაზე ან განკარგვაზე, სანამ არ მოხდება შესაბამისი იურიდიული პროცედურების გავლა (Spain, 2000). ავსტრიის სამოქალაქო სამართალში მემკვიდრეობა გადადის

მემკვიდრეზე გარდაცვალების მომენტიდანვე კანონით რაც ნიშნავს, რომ მემკვიდრეობა მიეკუთვნება მემკვიდრეს კანონის ძალით და არ საჭიროებს ცალკეულ მოქმედებას საკუთრების გადმოსაცემად (Gesetzbuch, 2001). თუმცა, აღნიშნული მდგომარეობა პრაქტიკულად რეალიზდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდება მემკვიდრეობის სამართლებრივი წარმოება, რომელიც ტარდება ნოტარიუსის (როგორც სასამართლო კომისრის) მიერ (Helmut Koziol & Rudolf Welser, 2020). მემკვიდრემ უნდა გააკეთოს განცხადება სამკვიდროს მიღების ან უარყოფის შესახებ ექვსთვიან ვადაში, რომელიც იწერება იმ დღიდან, როდესაც მემკვიდრე შეიტყობს ან უნდა შეეტყო მემკვიდრეობის გახსნისა და საკუთარი მემკვიდრის სტატუსის შესახებ. თუ ამ ვადაში მემკვიდრე არ წარადგენს მოთხოვნას იგი კარგავს მემკვიდრეობას (Rummel, 2022). შვეიცარიული სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მემკვიდრეობა გარდაცვლილის სიკვდილის მომენტიდან ზოგადი წესით ავტომატურად გადაეცემა მემკვიდრეს (ჭეჭელაშვილი, 2018). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მემკვიდრე სამართლებრივად უკვე ხდება ქონების მფლობელი, პრაქტიკაში აუცილებელია სანოტარო აქტის შედგენა, რაც უზრუნველყოფს მემკვიდრეობით მიღებული ქონების ოფიციალურ რეგისტრაციას. მემკვიდრე ვალდებულია თორმეტი თვის განმავლობაში საჯაროდ განაცხადოს თავისი უფლების შესახებ (ასოციაცია, 2023). აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ მემკვიდრე არ გამოიყენებს მემკვიდრეობის მიღების ან უარყოფის მექანიზმებს, ქონება გადაეცემა იმ პირს, რომელიც განსაზღვრული იქნება კომპეტენტური ორგანოს მიერ, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. პრაქტიკაში ეს გულისხმობს იმას, რომ თუ მემკვიდრემ არ დაადასტურა თავისი ნება დროულად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მან მემკვიდრეობაზე უარი განაცხადა (კოდექსი შ. ს., 2023). ინგლისის სამართალში მემკვიდრეობის მიღების პროცედურა ფორმალურ ხასიათს ატარებს და დაკავშირებულია სამემკვიდრო სასამართლოს მიერ გაცემულ სპეციალურ მოწმობასთან. მემკვიდრეობის მიღება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მემკვიდრე იღებს სასამართლოს მიერ გაცემულ სამემკვიდრო მოწმობას. აღნიშნული მოწმობა აძლევს მას უფლებას, მართოს სამკვიდრო, გადაიხადოს დავალიანებები და გადაანაწილოს ქონება ბენეფიციარებზე ((UK), 1925). მემკვიდრეობით სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სამემკვიდრო საქმის წარმოებისათვის რეკომენდებულია თორმეტთვიანი ვადის დაცვა გარდაცვალების თარიღიდან, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად მსგავსი ვადა კანონით არ არის დადგენილი (Parry & Kerridge, 2020). იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადაში არ მოხდება სამემკვიდრო საქმის წარმოება და ქონების გადანაწილება, მემკვიდრეებს შეიძლება შეექმნათ სარჩელები სხვა ბენეფიციართა მხრიდან ან საჭირო გახდეს სასამართლოს ჩარევა აქტივების დაცულად შესანარჩუნებლად ან სადავო საკითხების გადასაჭრელად (Service, 2025). საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსი დეტალურად აწესრიგებს მემკვიდრეობის მიღების ვადებსა და ფორმებს (საქმისწარმოება, 2003). სამკვიდროს მიღება შესაძლებელია როგორც მტკიცებითი (გულისხმობს მემკვიდრის მიერ უფლებამოსილი ორგანოს წინაშე

წერილობითი განცხადების წარდგენას) ისე ქმედებითი ანუ დუმილობითი ფორმით (ეფუძნება მემკვიდრის იმგვარ ქცევას, რომელიც მიუთითებს მის რეალურ ნებას მემკვიდრეობის მიღების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ წარადგენს შესაბამის ფორმალურ განცხადებას) (საქმისწარმოება, 2023). მემკვიდრე რომელიც ცხოვრობს საბერძნეთში, მემკვიდრეობის მიღებაზე განცხადების წარსადგენად განსაზღვრული აქვს ექვსთვიანი ვადა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე იმყოფება ქვეყნის ფარგლებს გარეთ – ვადა იზრდება ერთ წლამდე. ეს ვადები ითვლება იმ დღიდან, როდესაც მემკვიდრემ შეიტყო ან უნდა შეეტყო მემკვიდრეობის გახსნისა და საკუთარი მემკვიდრის სტატუსის შესახებ (საქმისწარმოება, 2023). მტკიცებითი მიღება ხორციელდება წერილობითი განცხადების გზით, რომელიც შესაძლებელია გაკეთდეს ნოტარიუსის თანდასწრებით ან შესაბამის ორგანოში. ქმედებითი მიღება ხდება მაშინ, როდესაც მემკვიდრე ახორციელებს ისეთ მოქმედებებს, რომლებიც ცხადყოფს მისი ნებისყოფას – მაგ., სარგებლობს ან ყიდის მემკვიდრეობით ქონებას იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე არ მიიღებს გადაწყვეტილებას ვადაში, დუმილი ავტომატურად ითვლება მემკვიდრეობის მიღებად, რაც შესაძლებელს ხდის მის პასუხისმგებლობას მემკვიდრეობით ვალდებულებებზე. თუმცა საბერძნეთის სამართალი მემკვიდრეს აძლევს საშუალებას მოითხოვოს მემკვიდრეობის აღწერა (άπογραφή), რაც მას იცავს საკუთარი ქონების განადგურებისგან და ამცირებს პასუხისმგებლობას მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებულ აქტივებზე (AK 1901-1903) (საქმისწარმოება, 2023). ბერძნულ სამართალში სამკვიდროს მიღებისათვის საჭირო მოქმედებები მხოლოდ ნოტარიული აქტის შედგენით და ფორმალური დოკუმენტაციის მიღებით არ შემოიფარგლება; აუცილებელია ნოტარიუსის მიერ სამკვიდროს გახსნის ფაქტისა და მემკვიდრის სამართლებრივი სტატუსის საფუძვლიანი გადამოწმება. სწორედ ამ კონტექსტში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აუცილებელი დოკუმენტების წარდგენა. (ნოდია თ. , 2015). პრაქტიკაში მემკვიდრეებს ეკისრებათ ვალდებულება წარმოადგინონ ოფიციალური ჩანაწერები საჯარო რეესტრიდან, რაც მოიცავს როგორც გარდაცვალების ფაქტის დადასტურებას, ასევე ახლო ნათესავთა შესახებ მონაცემებს. აღნიშნული დოკუმენტაცია ქმნის სამართლებრივ საფუძველს იმის დასადგენად, არსებობს თუ არა კანონით განსაზღვრული მემკვიდრეობის უფლება კონკრეტული პირისათვის. ანდერძით მემკვიდრეობის შემთხვევაში, მემკვიდრის სტატუსის დადასტურება ეფუძნება ანდერძის სათანადოდ დამოწმებულ ფორმას. ამასთან, პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი მტკიცებულებების წარდგენაც, მათ შორის სასამართლოს აქტები, რომლებიც ამყარებს ანდერძის ნამდვილობას ან განმარტავს მისი შესრულების პირობებს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ანდერძით მემკვიდრეობა ხშირად საჭიროებს უფრო კომპლექსურ მტკიცებულებით ბაზას, ვიდრე კანონით მემკვიდრეობა. (საქმისწარმოება, 2023). კვლევის შედეგებიდან გამოიკვეთა მემკვიდრეობის მიღების პროცედურა ქართულ სამართალში ფორმალურად მკაფიოდ რეგულირდება, თუმცა პრაქტიკაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი იკვეთება.

ყველაზე მწვავე პრობლემა ვადებთან არის დაკავშირებული. კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც მემკვიდრემ უნდა გააკეთოს განცხადება სანოტარო ბიუროში სამკვიდროს მიღების შესახებ, ხშირად საკმარისი არ არის, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როგორიცაა მემკვიდრის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მემკვიდრის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნა, როცა მემკვიდრე იმყოფება საზღვარგარეთ ან მას არ აქვს სრული ინფორმაცია მემკვიდრეობის გახსნის შესახებ და სხვა ფაქტორები, რაც ვერ უზრუნველყოფს მემკვიდრეთა ინტერესების სრულ დაცვას. შედარებით სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ რიგი ქვეყნების მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნას არსებული სისტემის ოპტიმიზაციისთვის: უფრო მოქნილი ან გახანგრძლივებული ვადები (მაგ., 12 თვე) უკეთ პასუხობს რეალურ საჭიროებებს. შესაბამისად, მიზანშეწონილია აღნიშნული ვადის ერთ წლამდე გაზრდა, რაც შეამცირებს სასამართლო დავებს და გაამარტივებს სამკვიდროს მიღების პროცედურას.

4.2. სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით და მართვით, მისი საფუძვლები და სამართლებრივი შინაარსის განსაზღვრა

სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით და მართვით მხოლოდ მამკვიდრებლის უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემით არ შემოიფარგლება, არამედ გულისხმობს სამკვიდროს ხანგრძლივ ფლობაზე გადასვლასაც (Сергеева, А.П.&Толстои, Ю.К., 1998). სამკვიდროს ხანგრძლივი ფლობა შესაძლებელია უნივერსალური უფლებამონაცვლეობის საფუძველზე, რაც გულისხმობს მფლობელის პიროვნების იდენტურობის ფიქციას (Лоренц, 2008). მემკვიდრემ სამკვიდროს მისაღებად უნდა განახორციელოს ისეთი მოქმედებები, რომლებიც ადასტურებს სამკვიდრო ქონების ფლობასა და მართვას (სუსგ , 2011). მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ნაწილის დაუფლება ადასტურებს, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო (ახვლედიანი, 2000), სადაც არ უნდა მდებარეობდეს და რისგანაც არ უნდა შედგებოდეს იგი (სუსგ , 2024). ქართული კანონმდებლობა საუბრობს სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით და მართვით სამკვიდროს გადაცემის ფორმაზეც. მემკვიდრის მიერ სამკვიდროზე უფლებების განხორციელება უნდა იძლეოდეს იმ დასკვნას, რომ მან იკისრა როგორც სამკვიდროს უფლებები, ასევე ვალდებულებები (სუსგ , 2024). სამკვიდროს ფლობა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით: სამკვიდრო ქონების გაქირავებით; მოვლა-პატრონობით; სამკვიდროში ცხოვრებით; ქონებით სარგებლობით ან დაუფლებით (სააპელაციო სასამართლოს განჩინება,, 2013). მემკვიდრის ცხოვრება გარდაცვლილის საცხოვრებელ ბინაში ხშირად განიხილება, როგორც სამკვიდროს ფაქტობრივი მიღება, თუ მემკვიდრე უარს არ აცხადებს სამკვიდროს მიღებაზე (სუსგ , 2024).

4.3. სანოტარო და სასამართლო პრაქტიკაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება

განსაკუთრებით პრობლემურ საკითხს წარმოადგენს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღება, მას შემდეგ, როცა მემკვიდრემ სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილ ვადაში არ წარადგინა სანოტარო ბიუროში განცხადება. ასეთ დროს მემკვიდრემ უნდა ამტკიცოს, რომ სამკვიდრო მიიღო სამკვიდროს გადაცემის ფორმით - სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით და მართვით. რაც შეეხება სამემკვიდრეო საქმის წარმოების წესს ნოტარიუსთან, ფაქტობრივი დაუფლების გზით სამკვიდროს მიღებისას სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების არსებობა შეიძლება დადასტურდეს სხვადასხვა გარემოებისა და/ან შესაბამისი დოკუმენტური მასალის საფუძველზე: საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები; მამკვიდრებლის ქონებაზე არსებული დოკუმენტების ფლობა (მაგალითად, ავტომობილის რეგისტრაციის მოწმობა, საბანკო ანგარიშის მონაცემები); საგადასახადო ვალდებულებების ან სადაზღვევო შენატანების გადახდის დამადასტურებელი ცნობები; კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემული ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (სამინისტრო, 2010). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სამკვიდროს მიღება შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ განცხადების წარდგენით, არამედ ისეთი ქმედებებითაც, რომლებიც მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ქონების ფლობასა და მართვას ადასტურებს. აღნიშნული მოქმედებები უნდა განხორციელდეს სამკვიდროს გახსნიდან ექვსთვიან ვადაში. ფლობა და მართვა განიხილება, როგორც ფაქტობრივი ქცევა, რომელიც მიუთითებს მემკვიდრის ნებაზე – მიიღოს სამკვიდრო, აიღოს მასთან დაკავშირებული უფლებები და იტვირთოს შესაბამისი ვალდებულებები, რაც არსებითად ნიშნავს სამკვიდრო ქონებაზე მესაკუთრის მსგავს ბატონობას. მემკვიდრის მიერ ფაქტობრივი ფლობისკენ მიმართული მოქმედებებიდან უნდა იკვეთებოდეს სამკვიდროს მიღების სურვილი (სუსგ , 2017). სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით გულისხმობს მემკვიდრის მიერ ისეთი მოქმედებების შესრულებას, როგორებიცაა: სამკვიდრო ქონების მართვა, განკარგვა, სარგებლობა (სუსგ , 2023). მხოლოდ მემკვიდრის მიერ ეს მოქმედებები შესრულებული უნდა იყოს სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის განმავლობაში. მემკვიდრის ასეთ განზრახულ მოქმედებებს გააჩნია ცალმხრივი გარიგების თვისებები (Черепахин, 1962). ასეთი მოქმედებების განხორციელებით მემკვიდრე ცხადყოფს სამკვიდროს მიღებას (ნადიბაიძე, სამკვიდროს მიღება – თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.). მემკვიდრე, რომელიც სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის ვადაში სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით □კონკლუდენტური მოქმედებებით□ იღებს სამკვიდროს, ხდება მამკვიდრებლის უფლებებისა და მოვალეობების უნივერსალური სამართალმემკვიდრე და იძენს კრედიტორისა და მოვალის სამართლებრივ მდგომარეობას მემკვიდრეობით გადასაცემი უფლებებისა და ვალდებულებების ფარგლებში. (სუსგ , 2013). მემკვიდრემ

ნოტარიუსთან სამკვიდროს გაცემის მიზნით უნდა წარადგინოს ის დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად მიღების მოქმედებების შესრულებას (ნადიბაიძე, სამკვიდროს მიღება – თეორიული და პრაქტიკული ასპექტები). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში მემკვიდრეს არა აქვს შესაძლებლობა წარმოადგინოს ის დოკუმენტები, რომელთა ჩამონათვალიც განსაზღვრულია სანოტარო მოქმედებათა წესის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც, ვფიქრობ, არა არის ამომწურავი, ამიტომაც მემკვიდრეს უწევს მიმართოს სასამართლოს სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადგენისათვის (სუსგ , 2016). არის ისეთი შემთხვევებიც, როცა პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები სასამართლოს საშუალებითაც ვერ ახდნენ ფაქტობრივი ფლობის და მართვის ფაქტის დადგენას, რაც კიდევ უფრო ლახავს მემკვიდრეების ინტერესს და უფლებებს: სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში (საქმე #2/ბ-407-2019) სასამართლომ განმარტა, რომ მხოლოდ სამძიმარზე ჩამოსვლა ან პირადი ნივთების (ლარნაკების) მიღება არ არის საკმარისი სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დასადასტურებლად. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრე ვალდებულია სასამართლოს მიმართოს ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დასადგენად. თუმცა პრაქტიკაში მემკვიდრეებსაც უჭირთ ამ გზით სამკვიდროს მიღების უფლების დამტკიცება, რაც მემკვიდრეთა უფლებებს ზღუდავს (სუსგ , 2019).

4.4. შედარებითი სამართლის საფუძველზე უცხოური გამოცდილების მოკლე მიმოხილვა სამართლებრივი რეგულირების დახვეწის მიზნით

არსებობს რამდენიმე ქვეყანა, სადაც ნოტარიუსს შეუძლია სამკვიდროს მიღების დადასტურება ფაქტობრივი ფლობის საფუძველზე მოწმეების მონაწილეობით, სასამართლოს ჩარევის გარეშე. ეს პროცესი ხშირად გამოიყენება, როდესაც მემკვიდრეობა არ არის ოფიციალურად დარეგისტრირებული ან არ არსებობს ანდერძი. გერმანიაში მემკვიდრეს შეუძლია მიმართოს ნოტარიუსს მემკვიდრეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (Erbschein) მისაღებად (BGB, 2000). ნოტარიუსი მოქმედებს, როგორც ოფიციალური დოკუმენტის შემმუშავებელი პირი. ის ეყრდნობა მოწმეთა ჩვენებებს მემკვიდრეობისა და ფლობის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სასამართლო დავა (BGB, 2000). მოწმეები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ამ პროცესში (FamFG, 2002). მათ შეუძლიათ დაადასტურონ მემკვიდრეობითი კავშირი გარდაცვლილთან; ქონების ფლობის ფაქტი (მაგალითად, საცხოვრებელი სახლი, ავტომობილი ან სხვა ქონება). მოწმეებად ხშირად გვევლინებიან გარდაცვლილის ახლობლები, მეზობლები ან სხვა პირები, რომლებიც იცნობდნენ მემკვიდრედ გამომსვლელ პირს და მონაწილეობდნენ ქონების მართვაში. როდესაც არსებობს საკმარისი და სარწმუნო მოწმეთა ჩვენებები, ნოტარიუსს შეუძლია დაადგინოს მემკვიდრეობა და გამოსცეს Erbschein, რის შედეგადაც მემკვიდრე

ოფიციალურად იღებს უფლებას, მოითხოვოს და განკარგოს ქონება ყოველგვარი სასამართლო განხილვის გარეშე (BGB, 2000). საფრანგეთში მოწმეების ჩვენებები წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მტკიცებულებას ფლობის ფაქტის დასადასტურებლად. მოწმეებად შესაძლებელია გამოიკითხონ პირები, რომლებსაც გააჩნიათ უშუალო ინფორმაცია გარდაცვლილის ცხოვრების, ქონების ფლობის და მემკვიდრეთა სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ (français, 2005). მოწმეები ადასტურებენ ისეთ გარემოებებს, როგორებიცაა: გარდაცვლილის ქონებაზე მემკვიდრის ფაქტობრივი კონტროლი, გარდაცვლილისა და მემკვიდრის ურთიერთობის ხასიათი, ოჯახის სტრუქტურა და მემკვიდრეობითი თანმიმდევრობა. ნოტარიუსი აფასებს მოწმეების ჩვენებების სანდოობას და ავთენტურობას. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი არ აწესებს მოწმეების რაოდენობის ან მათ სტატუსთან დაკავშირებულ მკაცრ შეზღუდვებს. მოწმეების ჩვენებები ფორმდება პროტოკოლით და ერთვის **სამკვიდროს ნოტარიულ აქტს** (notariat, 2000)**.** ნოტარიუსი იღებს პასუხისმგებლობას დოკუმენტის სისწორესა და სრულყოფილებაზე. თუ მოწმეების ჩვენებები საკმარისად დაადასტურებს მემკვიდრეობის ფაქტს, ნოტარიუსი გასცემს **სამკვიდროს ნოტარიულ აქტს** დამატებითი სასამართლო პროცედურის გარეშე. სასამართლოს ჩართვა არ არის საჭირო, რადგან ნოტარიუსის მიერ ამ პროცესის რეალიზება საშუალებას იძლევა, რომ საკითხი გადაწყდეს სწრაფად და ეფექტურად, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მემკვიდრეების შესახებ დოკუმენტაცია არსებობს ან როცა მოწმეთა ჩვენებები საკმარისია მემკვიდრეობის დადასტურებისთვის. თუ არსებობს ეჭვები ან წინააღმდეგობები მოწმეების ჩვენებებს შორის, შესაძლებელია, საჭირო გახდეს დამატებითი მტკიცებულებების მოძიება ან სასამართლოს ჩართულობა (cassation, 1999). საფრანგეთის სამართალში ნოტარიუსის მიერ მოწმეების ჩვენებების გამოყენება ფლობის ფაქტის დასადგენად არის ეფექტური და მოქნილი მექანიზმი მემკვიდრეობის პროცესის გასამარტივებლად. ეს პროცედურა უზრუნველყოფს მემკვიდრეთა უფლებების სწრაფ და ეფექტურ დაცვას სასამართლოს ჩარევის გარეშე, რაც მემკვიდრეობის რეგისტრაციისა და მართვის პროცესს მნიშვნელოვნად ამარტივებს. **ესპანური სამართლის პრაქტიკა** გვიჩვენებს, რომ ნოტარიუსი, რომელიც ახორციელებს მემკვიდრეთა დადგენის პროცესს, უფლებამოსილია გამოიყენოს **მოწმეთა ჩვენებები,** როგორც მტკიცებულება იმ მემკვიდრეობის ფლობის შესახებ, რომელიც ფაქტობრივად მოხდა გარდაცვლილთან ურთიერთობის და მისი ქონების მართვის ფარგლებში, (Español, 2002) სადაც მოწმეთა ჩვენებები შეიძლება იყოს საკმარისი მტკიცებულება სამკვიდროს გადასაცემად. ესპანურ სამართალში, როგორც ეს ნოტარიული პრაქტიკითაა დამკვიდრებული, (Notariado, 2004) მემკვიდრეთა დადგენისას მოწმეთა ჩვენებებს შეუძლია ითამაშოს გადამწყვეტი როლი **როგორც სამემკვიდრეო კავშირის დასამტკიცებლად,** ასევე **ფაქტობრივი ფლობის დასადასტურებლად** (Supremo, 2005)**.** ეს პრაქტიკა შესანიშნავად ასახავს, თუ როგორ შეიძლება მოწმეთა ჩვენებები დაეხმაროს ნოტარიუსს იმ პროცესში, როცა ფლობის ფაქტის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაცია არ არსებობს ან არ არის საკმარისი.

იტალიის სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ნოტარიუსს შეუძლია სასამართლოს ჩარევის გარეშე, მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, დაამტკიცოს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფლობის ფაქტი. ეს პროცედურა ხშირად გამოიყენება მაშინ, როდესაც აუცილებელია „Dichiarazione di successione“-ს შედგენა და სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადასტურება სპეციალური სასამართლო განხილვის გარეშე (Italiano, 1910). მოწმეთა ჩვენებები უნდა იყოს ნოტარიულად დადასტურებული და შეიცავდეს მტკიცე და სრულყოფილ მონაცემებს მემკვიდრის ფლობის შესახებ. ნოტარიუსი ვალდებულია, გადაამოწმოს მოწმეთა სანდოობა და ჩვენებების სისწორე, რადგან მათ საფუძველზე ხდება სამკვიდროს ფლობის ოფიციალური აღიარება (Legislativo, 1990). ასეთი პრაქტიკა ნოტარიუსს ანიჭებს აქტიურ როლს მემკვიდრეობის სამართლებრივად დასაბუთებულ გადაცემაში, რაც იცავს როგორც მემკვიდრის, ისე მესამე პირების ინტერესებს (Genovese, 2008). ესტონეთში ნოტარიუსის მიერ მემკვიდრეობის პროცესის წარმართვა და გადაწყვეტილების მიღება ხდება სპეციალური სამართლებრივი პროცედურის ფარგლებში, რომელიც აადვილებს მემკვიდრეობით ქონების გადასვლის პროცესს და ამცირებს სასამართლო დავების აუცილებლობას (Code, 1994). ნოტარიუსს აქვს უფლებამოსილება, დაადგინოს მემკვიდრის მფლობელობა და საკუთრების უფლება, მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრე ქონებას ფლობს, მაგრამ არ არსებობს საკმარისი დოკუმენტაცია მისი საკუთრებაში გადაცემისთვის (Estonia, 2000). ნოტარიუსს შეუძლია მოითხოვოს მოწმეთა ჩვენებები იმის დასადგენად, თუ როგორ მიიღეს მემკვიდრეებმა ქონება და როგორ გამოიყენებოდა ის. ნოტარიუსი იბარებს მოწმეთა ჩვენებებს, ასრულებს დოკუმენტაციას და ამ მასალების საფუძველზე ადგენს შესაბამის აქტს, რომელიც შემდეგ დარეგისტრირდება, როგორც მემკვიდრეობის გადაცემის საფუძველი. ამ პროცესისას მოწმეთა ჩვენებები ემსახურება იმ ფაქტების დასაბუთებას, რომ მემკვიდრე მართლაც ფლობს ქონებას (Estonian, 2008). ნოტარიუსი გადაწყვეტს, რომელი მოწმეთა ჩვენებები საჭიროებენ დაჯერებას, რათა აქტის მიღება დამტკიცდეს. ეს პროცესი ხელს უწყობს სასამართლოს ჩარევის გარეშე მემკვიდრეობის გადაცემას (Association, (Eesti Advokatuur), Estonian Bar Association , 1919). ამ პროცესით ესტონეთი უზრუნველყოფს სწრაფად და ეფექტურად სამკვიდროს გადაცემას, რომელიც თავიდან იცილებს სასამართლოს ჩარევას და აუმჯობესებს სამართლებრივ პროცედურებს. კოლუმბიაში ნოტარიუსი ფლობის ფაქტის დადგენის პროცესშიც აქტიურად მონაწილეობს. თუ მემკვიდრეობითი ქონების ფლობის ფაქტი უნდა დადასტურდეს სასამართლოს გარეშე, ნოტარიუსი იღებს მოწმეთა ჩვენებებს. მოწმეები, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას ქონების ფლობის შესახებ, იძლევიან თავიანთ ჩვენებას ნოტარიუსთან. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ფლობის ფაქტის დასადასტურებლად. გარდა იმისა, რომ ნოტარიუსი ატარებს ფლობის დადგენის პროცესს, მან შესაძლოა გამოაცხადოს საჯარო შეტყობინება, რათა დაიცვას სხვა პირების ინტერესები და მათაც ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ მტკიცება გააკეთონ ფლობის შესახებ. ნოტარიუსი იღებს გადაწყვეტილებას და აქცევს ფლობის ფაქტს ოფიციალურ დოკუმენტად,

რომელიც დარეგისტრირებულია შესაბამისი სამართლებრივი ორგანოს მონაცემთა ბაზაში. ამ პროცესში ნოტარიუსი მოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი და ავტორიტეტული პირი, რომლის რჩევა და მოქმედებები არ საჭიროებს სასამართლოს ჩარევას, თუ არ არსებობს განსაკუთრებული სამართლებრივი პრობლემა (Association, 1919).

5. დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მემკვიდრეები ფაქტობრივად ფლობენ და სარგებლობენ სამკვიდრო ქონებით, თუმცა მემკვიდრეობის მიღების სამართლებრივი წესების შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის გამო ვერ ახერხებენ თავიანთი უფლებების სათანადოდ რეალიზებას (Georgian Civil Code, 1997). მოქმედი რეგულაციის პირობებში ნოტარიუსი ვალდებულია, უარი თქვას სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ ვერ დგინდება სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების ფაქტი კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებებით, რაც მემკვიდრეებს აიძულებს, მიმართონ სასამართლოს. აღნიშნული კი დაკავშირებულია დროში გაწელილ პროცესებთან, ფინანსურ ხარჯებსა და სასამართლო სისტემის გადატვირთვასთან ((საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2017). ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით მიზანშეწონილია ნოტარიუსის კომპეტენციის გაფართოება.

აღნიშნული საკითხის მოწესრიგებისათვის კვლევის ფარგლებში მიზანშეწონილად მიიჩნევა „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 85-ე მუხლის შინაარსობრივი სრულყოფა და აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტისათვის „ვ“ ქვეპუნქტის დამატება, რაც ნოტარიუსს მიანიჭებს შესაძლებლობას, სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების დადგენის პროცესში გამოიყენოს მტკიცებულებათა უფრო მოქნილი და მრავალფეროვანი საშუალებები. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს პრაქტიკაში არსებული მტკიცებითი სირთულეების შემცირებას და მემკვიდრეთა უფლებების ეფექტიან დაცვას. შესაბამისად, მიზანშეწონილია 85-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ნოტარიუსი უფლებამოსილია, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების ფაქტის დადგენის მიზნით, მხედველობაში მიიღოს და შეაფასოს მოწმეთა ახსნა-განმარტებები და წერილობითი განცხადებები.“ ამასთანავე, სიზუსტისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია ნოტარიუსისთვის დამატებითი ინსტრუმენტების მინიჭება, მათ შორის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზებზე წვდომა და საჯარო პუბლიკაციის მექანიზმის გამოყენება სამკვიდრო საქმის წარმოების დაწყების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ცვლილებები, მიუხედავად ნოტარიუსის ფუნქციური დატვირთვის ზრდისა, მნიშვნელოვნად შეამცირებს სასამართლოსთვის მიმართვის აუცილებლობას, დააჩქარებს სამკვიდრო საქმის წარმოებას,

გააუმჯობესებს სამართლებრივ განსაზღვრულობას და უზრუნველყოფს მემკვიდრეების უფლებებისა და ინტერესების უფრო ეფექტიან დაცვას.

მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული **ექვსთვიანი ვადა** ხშირ შემთხვევაში არ უზრუნველყოფს მემკვიდრის ინტერესთა სრულფასოვან დაცვას და არ შეესაბამება იმ სოციალურ-იურიდიულ რეალობას, რომელშიც მემკვიდრეები ხშირად იმყოფებიან. მთავარი სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ექვსთვიანი ვადა არ ითვალისწინებს ისეთ ობიექტურ გარემოებებს, როგორიცაა: მემკვიდრის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა ან შრომისუუნარობა; მემკვიდრის საზღვარგარეთ ყოფნა ან გრძელვადიანი მივლინება; ინფორმაციის დაგვიანებით მიღება მემკვიდრეობის გახსნის შესახებ; ობიექტური შეფერხებები კომუნიკაციისა და დოკუმენტაციის მოპოვების პროცესში (ნოდია, 2012), (შენგელია შ. &., 2007). ეს ფაქტორები ხშირად ართმევს მემკვიდრეს კანონით მინიჭებული უფლების დროულად განხორციელების შესაძლებლობას და აიძულებს მას მიმართოს სასამართლოს. შედეგად, იზრდება სასამართლო დავების რაოდენობა და სამართლებრივი პროცედურა რთულდება. რატომ არის მნიშვნელოვანი მემკვიდრეობის მიღების ვადის გაზრდა საქართველოს სამართლებრივ სისტემაში? ვადის **ექვსიდან თორმეტ თვემდე გაზრდა** მნიშვნელოვნად გაამარტივებს სამკვიდროს მიღების პროცესს, შეამცირებს სასამართლოს მიმართვიანობას და უზრუნველყოფს მოქალაქეთა სამართლებრივი ინტერესების უფრო სამართლიან დაცვას. უფრო ხანგრძლივი ვადა მემკვიდრეს აძლევს რეალურ შესაძლებლობას გააზრებულად მიიღოს გადაწყვეტილება სამკვიდროს მიღების თაობაზე, შეაგროვოს საჭირო დოკუმენტები და მოემზადოს სამართლებრივი ნაბიჯების გადასადგმელად. აქვე მნიშვნელოვანია დაისვას შეკითხვა, ერთის მხრივ მოაწესრიგებს, მაგრამ მეორეს მხრივ ხომ არ შეაფერხებს სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი ვადის გაზრდა სამკვიდრო მოწმობის გაცემის პროცედურას და მემკვიდრეების ინტერესებს? ვფიქრობ აღნიშნული საკითხის მოწესრიგების მიზნით ვადის გაზრდასთან ერთად მნიშვნელოვანია გამონაკლის შემთხვევებში გამოყენებული იქნეს სამკვიდრო მოწმობის ვადაზე ადრე გაცემისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1500-ე მუხლი სადაც მითითებულია: სამკვიდრო გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო ორგანოს მოეპოვება ცნობა, რომ, მოწმობის მთხოვნელ პირთა გარდა, სხვა მემკვიდრეები არ არიან (სამოქალაქო). ამასთანავე აღნიშნული საკითხის მოწესრიგებისათვის მნიშვნელოვანია სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციაში ჩაიწეროს, რომ სანოტარო ორგანოსთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1500-ე მუხლის გამოყენების შემთხვევაში ცნობად ჩაითვალოს სახელმწიფო სერვისების ორგანოდან გამოთხოვილი ინფორმაცია მემკვიდრეთა წრის შესახებ, თუკი მისთვის ცნობილი იქნება რომ არ არიან სხვა მემკვიდრეები ვადაზე ადრე გაიცეს სამკვიდრო მოწმობა. რეკომენდირებულია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელდეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც მემკვიდრეობის მიღების ვადა გაიზრდება ექვსიდან თორმეტ თვემდე (Сергеев). ამასთან,

შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1500-ე მუხლში, რათა დაკონკრეტდეს ვადაზე ადრე სამკვიდრო მოწმობის გაცემის წინაპირობები (Georgian Civil Code, 1997). პარალელურად, ცვლილება უნდა განხორციელდეს „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციაში (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2010). რომლის მიხედვითაც ნოტარიუსი უფლებამოსილი იქნება, 1500-ე მუხლის გამოყენებისას, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გამოითხოვოს ინფორმაცია მემკვიდრეთა წრის შესახებ და ამ მონაცემებზე დაყრდნობით მიიღოს გადაწყვეტილება სამკვიდრო მოწმობის ვადაზე ადრე გაცემის შესახებ. აღნიშნული ცვლილებები იქნება არა მხოლოდ სამართლებრივად გამართლებული, არამედ სოციალური სამართლიანობის პრინციპთან სრულად თანხვედრაში (საქართველოს უზენაესი სასამართლო , 2008). ასეთი რეფორმა გაზრდის სამართლებრივი სისტემის მოქნილობას, გააძლიერებს მემკვიდრის დაცვის მექანიზმებს და შექმნის თანამედროვე, ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულ მემკვიდრეობით სამართლის მოდელს.

ბიბლიოგრაფიული წყაროები

1. ახვლედიანი, ზ. (2000). *მემკვიდრეობის სამართალი.* თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“.
2. ნადიბაიძე, ლ. (2012). *სამკვიდროს მიღება – თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.* მართლმსაჯულება და კანონი.
3. ნოდია, გ. (2012). *სამოქალაქო სამართალი. მემკვიდრეობითი სამართალი.*
4. შენგელია, რ., & შენგელია, ე. (2007). *მემკვიდრეობის სამართალი.*
5. ჩიკვაშვილი, შ. (2000). *მემკვიდრეობის სამართალი.*
6. ჭეჭელაშვილი, ზ. (2018) *შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი.*
7. Estonian Bar Association. (1992). *Eesti Advokatuur.* (Original work published 1919). Retrieved from www.advokatuur.ee
8. Genovese, A. M. (2008). *Il ruolo del notaio nelle successioni.* Milano: Giuffrè Editore..
9. Gesetz über das Verfahren in Familiensachen und in den Angelegenheiten der freiwilligen Gerichtsbarkeit *(FamFG).* (2008).
10. Italy. (1990). *Decreto Legislativo 31 ottobre 1990, n. 346:* Approvazione del testo unico delle disposizioni concernenti l'imposta sulle successioni e donazioni. Gazzetta Ufficiale della Repubblica Italiana.
11. Лоренц, Д. В. (2008). Условия вступления наследников в давностное владение. Наследственное право, (3), Москва.
12. Сергеев, А. П., Толстой, Ю. К., & Елисеев, И. В. (2002). Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный): часть третья. Москва.
13. Сергеева, А. П., & Толстой, Ю. К. (1998). Гражданское право: учебник. Москва.
14. Черепахин, Б. Б. (1962). Правопреемство по советскому гражданскому праву. Москва.

ნორმატიული აქტები

1. საქართველოს სააპელაციო სასამართლო. (2013, 14 თებერვალი). განჩინება საქმეზე №2ბ/4097-12.
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. (2010, 31 მარტი). №71 ბრძანება „სანოტარო მოქმედების წესის შესახებ“.
3. Germany. (1896). Bürgerliches Gesetzbuch (BGB).
4. France. (1804). Code civil français.
5. Italy. (1942). Codice Civile (Regio Decreto 16 marzo 1942, n. 262)
6. Spain. (1889). Código Civil Español.
7. Estonia. (2000). Notaries Act (Notariaadiseadus). Riigi Teataja.
8. Estonia. (2008). Law of Succession Act (Pärimisseadus). Riigi Teataja.
9. Estonia. (1994). Estonian Civil Code.
10. France. (1803, March 16). Loi du 25 ventôse an XI contenant organisation du notariat. Légifrance
11. Georgia. (1997). *Civil Code of Georgia (Article 1500).* Retrieved from matsne.gov.ge

12. Greece. (1940). Greek Civil Code *(Astikos Kodikas).* Entered into force on 23 February 1946. Retrieved from the official legislative sources of Greece.
13. United Nations Development Programme. (2022). *Human Development Report 2021/2022*. UNDP.
14. Spain. (1862). Ley del Notariado.
15. Palandt, O. (Hrsg.). (1939). Bürgerliches Gesetzbuch: Kommentar zum BGB. *München:* C.H. Beck.
16. Rebmann, K., & Säcker, F.-J. (Hrsg.). (1978*).* Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch (BGB*).* München: C.H. Beck.
17. United Kingdom. (1925*).* Administration of Estates Act 1925 (15 & 16 Geo. 5 c. 23).

სასამართლო პრაქტიკა

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2017, 31 მარტი). გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1172-1127-2016.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2013, 7 მარტი). გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1183-1112-2012.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2011, 3 ნოემბერი). გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1405-1420.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2019, 30 ოქტომბერი). განჩინება საქმეზე № 2/ბ-407-2019.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2024, 28 მარტი). გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1370-2022.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2023, 24 ივლისი). გადაწყვეტილება საქმეზე № ას-172-2023.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2016, 17 ივნისი). გადაწყვეტილება საქმეზე № ას-62-60-2016. In მ. მაღალაშვილი (რედ.), მემკვიდრეობითი სამართალი (კრებული): საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2024, 22 თებერვალი). გადაწყვეტილება საქმეზე № ას-923-2022.